

ჰოლივუდის კინოსტუდიები საქართველოს სანქციებით ემუქრებიან



Motion Picture Association of America, რომელიც წარმოადგენს დისნეის, ვორნერ ბრძანებას, უნივერსალ ფიქსერსს, სონის, პარამაუნტ ფიქსერსს, ნეტფლიქსსა და სხვა დიდ კინოსტუდიებს, შეშფოთებას გამოთქვამს

საქართველოში არსებულ ინტერნეტსაიტებზე არადეგალური ფილმების ჩვენების გამო.

ორგანიზაციის პრეზიდენტმა და მმართველმა დირექტორმა, სტენ მაკკოიმ, წერილი მისწერა კომუნიკაციების კომისიის, საქპატენტისა და ინტერნეტმეკობრეობის წინააღმდეგ შექმნილ ასოციაციას. მეკობრეობის შემცირება ჩვენთვის მთავარ პრიორიტეტად რჩება და აღსრულება აუცილებელი და მნიშვნელოვანი ნაბიჯია ამ პრიორიტეტის მისაღწევად. საქართველოში adjaranet.com და imovies.cc უჩვენებენ MPA-ს წევრი კომპანიების ფილმებს მათი თანხმობის გარეშე, რაც მნიშვნელოვანი პრობლემაა, – ნათქვამია MPA-ს გამომგზავნილ წერილში.

ამ ფაქტს საგანგებო წერილით გამოეხმაურა კავეას კინოთეატრების ქსელი, სადაც აღნიშნულია, რომ მოპარული ფილმების გავრცელება და მოხმარება, ანუ ინტერნეტმეკობრეობა, ზიანს აყენებს და საფრთხეს უქმნის არა მხოლოდ ჰოლივუდის ფილმების ჩვენებას ქართველი მაყურებლისთვის, არამედ თავად ქართულ ფილმებსაც და მათ მწარმოებლებს როგორც ქვეყნის შიგნით, ისე ქვეყნის გარეთ.

ამერიკული კინოსტუდიები შეშფოთებას გამოთქვამენ საქართველოში ინტერნეტმეკობრეობის მიმართულებით არსებული მდგომარეობის გამო და პრობლემის მოუგვარებლობის შემთხვევაში სანქციების დაწესებას

აპირებენ, რაც კინო და ტელე მსოფლიო პრემიერების დაგვიანებით ან, რიგ შემთხვევაში, მათი სრულად გაუქმებით იქნება გამოხატული.

კინოსტუდიები იმედოვნებენ, რომ, კომუნიკაციების კომისიის დახმარებით, ინტერნეტსივრცე მარე გათავისუფლდება არადეგადური, არაკანონიერი ფირმებისა და სერიალებისგან.